

საქართველოს უზენაეს სასამართლოს

მოსამართლე _____

ლ.კ.-ს საქმეთან დაკავშირებით

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)

სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

*წარმოდგენილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის
პირველი ნაწილის შესაბამისად*

1. საქმის ზოგადი მიმოხილვა

ბატონო მოსამართლე,

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მაისის განაჩენით ძალაში იქნა დატოვებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 7 აგვისტოს განაჩენი, რომლითაც ბრალდებულ ლ.კ.-ს არ დაუდასტურდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით გათვალისწინებული ბეჯა (საბი) ბერიანის განზრახ მკვლელობისათვის, წარდგენილ ბრალი და დადგინდა, რომ ბრალდებული მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში. ამავე განაჩენით, ბეჯა (საბი) ბერიანის მფლობელობაში არსებულ ბინაში განზრახ ხანძრის გაჩენით ბინისა და იქ არსებული ინვენტარის დაზიანებისთვის ბრალდებული ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართალი კოდექსის 187-ე (სხვისი ნივთის განზრახ დაზიანება) მუხლით. მას ასევე დაეკისრა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მასა და ბეჯა (საბი) ბერიანს შორის მომხდარ შემთხვევამდე, ბეჯა (საბი) ბერიანის ტელეფონის ნომრის მიღების მიზნით, ბიანკა შიგუროვას ცემის ფაქტზე, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლით.

ორივე ინსტანციის სასამართლოს დასაბუთება ეყრდნობოდა იმ ფაქტს, რომ ბრალდების მხარემ სასამართლო პროცესზე ვერ წარადგინა მტკიცებულებები, რომლებიც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დადგენილი გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის შესაბამისად დაადასტურებდა პირისათვის წარდგენილ ბრალდებას. ამასთან ერთად, სასამართლომ განმარტა, რომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით არ იქნა უარყოფილი ეჭვი, რომ ბრალდებული მოქმედებდა მართლმომიერად.

სასამართლომ ასევე არ გაამახვილა ყურადღება ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით შესაძლო სიძულვილის მოტივზე, რასაც შესაძლოა საქმის სწორად გადანყვეტისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს.

სასამართლოს მიერ საქმის ფაქტობრივი გარემოებების ამგვარად შეფასების პირობებში მნიშვნელოვანია ერთი მხრივ, შეფასდეს ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლიც პირს თავდაცვის მდგომარეობაში აყენებს და ანიჭებს აუცილებელი მოგერიების უფლებას. მეორე მხრივ კი

მნიშვნელოვანია ქმედების სუბიექტური მხარის გამოკვეთა, განსაკუთრებით, მოტივის ზეგავლენა პირის მიერ ქმედების განხორციელების განზრახვის ჩამოყალიბებაზე.

წარმოდგენილი სასამართლო მეგობრის მოსაზრება შეაფასებს ზემოთ აღნიშნული ორი გარემოების სამართლებრივ ასპექტებს.

აღნიშნულ საქმესთან მიმართებით მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, სასამართლოს სამართლიან და დასაბუთებულ მსჯელობას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ერთის მხრივ, წინამდებარე საქმეზე სამართლიანობის აღდგენისა და მეორეს მხრივ, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან მიმართებით ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და ჰომო/ტრანსფობიურ დანაშაულთა პრევენციის პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა (EMC) გადაწყვიტა უზენაეს სასამართლოს წარუდგინოს სასამართლო მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) მოსაზრება, ძირითადად, განაჩენსა და სასამართლო სხდომების მონიტორინგს ეფუძნება და სისხლის სამართლის საქმის მასალებზე სრული წვდომის საშუალების არქონის გამო, მას არ გააჩნიათ საქმის ყოვლისმომცველი და დეტალური შეფასების შესაძლებლობა, თუმცა, მოსაზრება ეფუძნება პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში იდენტიფიცირებულ საკითხებს, რომელთან მიმართებითაც არსებითად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია უზენაესი სასამართლოს მიერ ყურადღების გამახვილება.

სასამართლო მეგობრის მოსაზრება მიზნად არ ისახავს რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას, მისი წარდგენის მიზანია დაეხმაროს სასამართლოს, სათანადოდ შეაფასოს განსახილველი საკითხი, იმ სტანდარტის იდენტიფიცირების საშუალებით, რომელიც დადგენილია ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობითა და პრაქტიკით.

2. სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით მომართვის უფლებამოსილება

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად „დაინტერესებულ პირს, რომელიც არ არის მხარე განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში, უფლება აქვს, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით“.

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც მუშაობს ადამიანის უფლებების, მათ შორის, ლგბტ პირთა უფლებების დაცვის საკითხებზე სამართლებრივი დახმარების, მონიტორინგისა და ადვოკატირების გზით. მათ შორის, მიმდინარე ეტაპზე ორგანიზაცია ახორციელებს ორ მნიშვნელოვან პროექტს ლგბტ უფლებების მხარდასაჭერად.¹ აღსანიშნავია, რომ EMC, სხვა

¹ მაგალითისთვის, იხილეთ პროექტი “სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული მიდგომის გაძლიერება ორგანიზაციის შესაძლებლობების გაძლიერებისა და ადვოკატირების ხელშეწყობის გზით“, რომელიც დაფინანსებულია სქესობრივი განათლების შვედური ასოციაციის (RFSU) მიერ. პროექტის მიზანია ლგბტ თემისთვის ძალადობისა და დისკრიმინაციისგან თავისუფალი უფლებებრივი გარემოს შექმნის ხელშეწყობა. იხ: <http://emc.org.ge/2015/09/01/rsfu-project/> ; ასევე, პროექტი „ლგბტი სოლიდარობის ქსელი საქართველოსა და სომხეთს შორის, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და ემსახურება ლგბტი პირთა დისკრიმინაციისაგან დაცვის ხელშეწყობას, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების აღმოფხვრისათვის ბრძოლას და ლგბტი საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას საზოგადოებაში, იხ: <http://emc.org.ge/2015/03/01/solidarity-network/>

არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, ახორციელებდა ლგბ და განსაკუთრებით ტრანსგენდერ ადამიანთა უფლებების დარღვევის ფაქტების მონიტორინგის და გაკეთებული აქვს სამართლებრივი შეფასებები სხვადასხვა მოვლენებთან დაკავშირებით.² ამდენად, ორგანიზაციას აქვს საკმარისი გამოცდილება და თეორიული ცოდნა, რაც აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მის შეფასებებს ღირებულს ხდის.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ საქმის განსახილველად დაშვების მნიშვნელობა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს საკასაციო სასამართლოს მიერ კონკრეტული საქმის განხილვამდე საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებს, რომელთა არსებობის შემთხვევაში საკასაციო სასამართლო განიხილავს საქმეს და იღებს შემაჯამებელ გადაწყვეტილებას. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 303-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი დასაშვებია თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისგან; გ) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი სამართლებრივი ან საპროცესო დარღვევით, რასაც შესაძლოა არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

განსახილველი საქმის რიგი ფაქტობრივი გარემოებები აჩვენებს, რომ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობა სახეზეა - საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის. საქმის განხილვის მნიშვნელობა კონკრეტულ წინაპირობასთან დაკავშირებულია იმგავრად, რომ საქმეში ფიგურირებს გარდაცვლილი პირი, რომლის გენდერული იდენტობა მიუთითებს სასამართლოს ვალდებულებაზე განსაკუთრებით საფუძვლიანად შეისწავლოს საქმეში ტრანსფობიური მოტივზე მიმანიშნებელი გარემოებები, საჭიროების შემთხვევაში გამოკვეთოს და სწორად გამოვლენილ მოტივზე დაყრდნობით მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება, რომელიც შემდგომში მსგავსი საქმეების განხილვის პროცესი პრეცედენტული ხასიათის იქნება. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ტრანსგენდერი ადამიანების მონყველადობა და მათ მიმართ ბოლო პერიოდში გაზრდილი აგრესია³ კიდევ უფრო ავლენს საქმის გარემოებების დეტალური შეფასების, ტრანსფობიური მოტივის არსებობა/არარსებობაზე მსჯელობის საჭიროებას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასამართლო მეგობრის მოსაზრების მომზადებამდე EMC-იმ შეისწავლა აუცილებელი მოგერიებისა და აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებაზე არსებული საერთო სასამართლოების 2014-2016 წლების პრაქტიკა.⁴ შესწავლილი განაჩენები ცხადყოფდა, რომ აუცილებელი მოგერიების მდგომარეობისა და აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილების შემთხვევებზე სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმებზე მსჯელობა მოცემულ საქმეში არ განხორციელებულა, ამასთან ერთად, სასამართლო პრაქტიკით აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის საზღვრები მკაცრად დაფინროვებულია და

² „ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“, EMC, 2016, იხ: <https://emc.org.ge/2016/06/03/emc-77/> ; იხ. განცხადება: <https://emc.org.ge/2016/11/10/emc-180/> ; <https://emc.org.ge/2016/10/16/emc-161/> ;

³ იხ: <http://1news.ge/?id=8141> ; <http://vtube.ge/ge/videos/play/bXdnMEhDYzByZ2c>

⁴ რამდენიმე მნიშვნელოვანია განაჩენის მოკლე ფაბულა წარმოდგენილია ქვემოთ.

მომგერიებლის თავდაცვითი ქმედება, რომელიც თავის დაცვის ყველაზე კარგ საშუალებას შეიძლება წარმოადგენდეს, იწვევს აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებას, რაც ამ კონკრეტულ საქმეში არ შეფასებულა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია საკასაციო სასამართლომ საქმე მიიღოს განსახილველად და ხელი შეუწყოს სამართლის განვითარებასა და ერთგვაროვანი პრაქტიკის დადგენას.

4. აუცილებელი მოგერიების უფლებასთან დაკავშირებული სტანდარტები და სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

4.1. აუცილებელი მოგერიების უფლების სტანდარტი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს აუცილებელი მოგერიების ცნებას და მას განსაზღვრავს, როგორც პირის უფლებას მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის პირობებში დააზიანოს ხელმყოფი თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით კი განსაზღვრულია, რომ „აუცილებელი მოგერიების უფლება პირს აქვს იმის მიუხედავად, შეუძლია თუ არა მას თავიდან აიცილოს ხელყოფა ან საშველად მოუხმოს სხვას“.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულია ის აუცილებელი ნიშნები, რომელთა არსებობას ადასტურებს პირის ყოფნას აუცილებელი მდგომარეობის ვითარებაში და გამორიცხავს მისი ქმედების მართლწინააღმდეგობას. ამგავრ ნიშნებს შორის მოიაზრება: უკიდურესი მდგომარეობა, უკიდურესობით გამოწვეული მოქმედება და თავდაცვის სურვილი.⁵ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ არსებობს აუცილებელი მოგერიების მეოთხე ნიშანიც, რომელიც მდგომარეობს აუცილებელი მოგერიების სოციალურ-ეთიკურ შეზღუდვებში, რაც უმნიშვნელო ხელყოფის დროს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობას მაქსიმალურად ზღუდავს ან საერთოდ გამორიცხავს.⁶

აუცილებელი მოგერიების პირველი ნიშანი - უკიდურესი მდგომარეობა, თავის მხრივ შედგება სამი კომპონენტისგან - სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, ხელყოფის იმწუთიერობა და ხელყოფის მართლწინააღმდეგობა (ხელყოფის რეალური ხასიათი)⁷. რაც გულისხმობს, რომ ადგილი უნდა ჰქონდეს სამართლებრივად დაცული ინტერესის იმწუთიერ, დაწყებულ ან მიმდინარე ხელყოფას და თავდასხმა უნდა იყოს რეალური და არა მხოლოდ მომგერიებლის ცნობიერებაში არსებული. მეორე ნიშანი - უკიდურესი მოქმედება გულისხმობს, რომ მომგერიებლის მიერ მიღებული თავდაცვის ზომები თავდასხმის ხასიათისა და საშიშროების შესაბამისი უნდა იყოს. კერძოდ, მომგერიებელს ეკისრება ვალდებულება მის ხელთ არსებული საშუალებებიდან ნაკლები ზიანის მომტანი მექანიზმი აირჩიოს და დაიცვას თავი. აუცილებელი მოგერიების მესამე ნიშანი სწორედ თავდაცვის სურვილის არსებობას მოიცავს და ადგენს, რომ პირის ქმედება მხოლოდ თავდაცვის სურვილით უნდა იყოს განპირობებული.

აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის გამომხატველი - თავდაცვის სურვილი, თავის მხრივ სუბიექტურ ელემენტსაც მოიცავს, რაც გამომხატება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის

⁵ მ. ტურავა, „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, 2010, გვ. 188

⁶ ი. ხერხეულიძე „აუცილებელი მოგერიების ფარგლები ქართული და ანგლო-ამერიკული სისხლის სამართლის მიხედვით“, გვ. 61

⁷ იქვე

გარემოებების ცოდნასა და მოგერიების სურვილში⁸. კერძოდ, პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ მოქმედებს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში და მისი ქმედება დეტერმინირებულია თავდაცვის მიზნით. აღნიშნულის დასადაგენად კი მნიშვნელოვანია საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილი შეფასება და გარკვევა რამ გამოიწვია და რისკენ იყო მიმართული პირის ქმედება.⁹ აღნიშნული გარემოებების დადგენისათვის ყურადღება უნდა მიექცეს ქმედების სავარაუდო მომგერიებელსა და თავდამსხმელს შორის შემთხვევამდე არსებულ ურთიერთობებს. მაგალითად, ადგილი ხომ არ ჰქონია რამე ინციდენტს, რომელსაც შეეძლო მომგერიებელში შურისძიების გრძნობა გამოეწვია და სწორედ ამ მოტივით ემოქმედა.

აუცილებელი მოგერიების მდგომარეობასა და თავდაცვის სურვილზე შესაძლოა უთითებდეს მომგერიებლის მიერ თავდასხმის საწყის გამოხატული სურვილი თავი აარიდოს კონფლიქტის გამწვავებას და შეეცადოს სიტუაციის განმუხტვას. თავდასხმის დაწყების შემდგომ კი მისი მოქმედება უნდა იყოს უფრო მეტად დეფენზიური და თავდამსხმელის განეიტრალებაზე მიმართული. მართალია აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა მომგერიებლის დაზიანებული და გადარჩენილი სამართლებრივი სიკეთეების შედარების ვალდებულებას არ აკისრებს¹⁰, მაგრამ მომგერიებლის მიერ მიღებული თავდაცვის ზომები ადეკვატური უნდა იყოს თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 მაისის განჩინების მიხედვით: „არ შეიძლება ადამიანს სიცოცხლე მოუსპო ან მძიმე დაზიანება მიაყენო იმ შემთხვევაში, როცა აშკარად შესაძლებელია თავდაცვის განხორციელება შედარებით უფრო ნაკლები ზიანის მიყენების გზით“.¹¹ სწორედ მომგერიებლის ქმედებაში გამოვლენილი ძალადობის ხარისხი ერთგვარად შეიძლება უთითებდეს აუცილებელი მდგომარეობის ფარგლებს გადაცილებაზე ან აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის დამაფუძნებელი გარემოებების არცოდნასა და კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების სურვილზე.

აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის დასადაგენად მეტ-ნაკლებად მსგავს გარემოებების შეფასებას ეყრდნობა საქართველოს სასამართლო პრაქტიკა. კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს რამდენიმე განაჩენში აღნიშნულია, რომ მომგერიებლის მიმართ გამოვლენილი აგრესიისთვის (მათ შორის მოკვლის განზრახვით განხორციელებული თავდასხმის პირობებში) საწყის ეტაპზე თავის არიდების მცდელობა აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობას აკმაყოფილებს, ხოლო თავდამსხმელისთვის მიყენებული დაზიანებების რაოდენობა და ხასიათი შექმნილი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში¹² ან საერთოდ გამორიცხავდეს აუცილებელ მოგერიებას ან წარმოადგენდეს ფარგლებს გადაცილებას. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სასამართლო პრაქტიკა თავდამსხმელთან შედარებით მომგერიებლის აშკარა

⁸ მ. ტურავა, „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, 2010, გვ. 192

⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 მაისის განჩინება N593აპ-15, იხ: <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>

¹⁰ [https://strafrecht-online.org/lehre/ws-2014/strafrecht-at/karteikarten/%C2%A7%2012%20-%20Die%20Norwehr%20\(KK%20200-230\).pdf](https://strafrecht-online.org/lehre/ws-2014/strafrecht-at/karteikarten/%C2%A7%2012%20-%20Die%20Norwehr%20(KK%20200-230).pdf)

¹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 მაისის განჩინება N593აპ-15 იხ: <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCrime.aspx>

¹² თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 5 მაისის განაჩენი N1/6856-

ფიზიკური სისუსტის მიუხედავად, აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებად მიიჩნევს მისმიერმიღებულ თავდაცვის ზომებს¹³.

საქართველოს სასამართლოების მიერ დადგენილი პრაქტიკისა და სისხლის სამართლის თეორიაში არსებული მიდგომების გათვალისწინებით ცხადი ხდება, რომ აუცილებელი მოგერიების მადომარეობის შესაფასებლად საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მომგერიებლის მიერ გამოვლენილ ძალადობის ხარისხს და თავდასხმის ეფექტურ აღკვეთაზე ორიენტირებულ ნაკლებად ზიანის მიმყენებელი საშუალების შერჩევას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ მოცემულ საქმეშიც დეტალურად უნდა შეფასდეს ფაქტობრივი გარემოებები და მოხდეს მათი შეწონასწორება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის დამადასტურებელ სამართლებრივ სტანდარტებთან.

4.2. აუცილებელი მოგერიებისა და აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილების შემთხვევებზე საერთო სასამართლოების განაჩენების მიმოხილვა

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 5 მაისის განაჩენით ე.მ.-ს დაეკისრა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შვილის ა.მ-ს მკვლელობისათვის აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით. საქმის ფაქტობრივი გარემოებებით დგინდებოდა, რომ ე.მ.-სა და მის მეუღლეს შვილი ხშირად აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას(რამდენჯერმე მათთვის ცეცხლის ნაკიდების მცდელობაც ჰქონდა). შემთხვევის დღეს ალკოჰოლური და ნარკოტიკული თრობის ქვეშ მყოფი შვილმა ე.მ-სგან მოითხოვა გარკვეული თანხა და უარის მიღების შემდეგ ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მამას, შემდეგ კი ფიზიკურ შეურაცხყოფაზე გადავიდა და დანით ყელის არეში დაზიანება მიაყენა. ე.მ. კონფლიქტისათვის თავის არიდების მიზნით სამზარეულოში გავიდა, თუმცა შვილი უკან გაჰყვა და კვლავ ცდილობდა დანის გამოყენებას, რა დროსაც ე.მ-მ მაგიდიდან აიღო დანა და მუცლის არეში დაარტყა შვილს. მიყენებული დაზიანებით ა.მ. ადგილზე გარდაიცვალა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით ე.მ. ნამდვილად იმყოფებოდა თავდაცვის მდგომარეობაში, თავდასხმა ა.მ-ს მხრიდან იყო მართლსაწინააღმდეგო, რეალური და თავდაცვის მოქმედება ე.მ.-სგან იყო აუცილებელი. თუმცა სასამართლომ მიუთითა, რომ გარდაცვლილისთვის მიყენებული დაზიანებების რაოდენობა (ოცდაერთი), რომელთაგან ოთხი სიცოცხლისათვის სახიფათო ადასტურებდა ე.მ.-ს მხრიდან აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 4 თებერვლის განაჩენით გ. ტ. დამნაშავედ იქნა ცნობილი შვილის ზ.ტ.-ს მკვლელობაში აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით.

საქმის ფაქტობრივი გარემოებებით დასტურდებოდა, რომ სახლში, მძინარე გ.ტ-ს თავს დაესხა შვილი, რომელმაც აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკური შეურაცხყოფას. მუცელში ურტყამდა ფეხებს, ხელს აფარებდა ცხვირისა და პირის არეში, რითაც ცდილობდა სუნთქვის შეზღუდვას. თავდასხმის მოსაგერიებლად გ.ტ.-მ გვერდით, სკამზე მოთავსებული დანა აიღო და შვილს გულის არეში ერთხელ დაარტყა, რამაც გარდაცვალება გამოიწვია.

¹³ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 4 თებერვლის განაჩენი N1/4228-12

მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ შეათვასა გ.ტ.-ზე განხორციელებული თავდასხმის საშიშროება, ხარისხი და მიუთითა, რომ ახალგაზრდა, ფიზიკურად ძლიერი შვილის მხრიდან აშკარა ფიზიკური ძალადობისა და სუნთქვის შეზღუდვის პირობებში გ.ტ.-ს ჰქონდა მართლსაწინააღმდეგო ქმედების მოგერიების უფლება, თუმცა მის მხრიდან გამოხატული თავდაცვის ქმედება შეუსაბამო იყო თავდასხმის გარემოებებთან, რამაც აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილება გამოიწვია.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს 2016 წლის 20 მაისის განჩინებით დგინდება, რომ ლ.ფ.-სა და დ.ც.-ს სამეზობლო დავა ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. ლ.ფ.-მ დ.ც.-ს დაუზიანა ხელი და აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, რის გამოც დ.ფ.-მ დაარტყა რკინის მილი და დაზიანება მიაყენა თავის არეში.

სასამართლოს შეფასებით, ლ.ფ.-ს მხრიდან განხორციელებულმა სიტყვიერმა შეურაცხყოფამ და ფიზიკურმა ძალადობამ დ.ც. ჩააყენა აუცილებელ მოგერიების მდგომარეობაში. დ.ც.-ს აუცილებელი მოგერიების უფლების შესაფასებლად სასამართლომ მიუთითა, რომ „პირი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში იმყოფება იმ შემთხვევაში, როდესაც მის მიმართ ხორციელდება მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა, ხელყოფა იმნუთიერი და რეალურია, ხოლო მომგერიებლის მიერ ჩადენილი ქმედება კი უკიდურესობით გამოწვეული მოქმედებაა, რაც გულისხმობს იმას, რომ ეს უნდა იყოს აუცილებელი თავდაცვითი ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია ხელყოფის მოგერიებისთვის და წარმოადგენს შედარებით მსუბუქ თავდაცვის საშუალებას. მართალია, აუცილებელი მოგერიების დროს არ არსებობს სამართლებრივ სიკეთეთა შესაბამისობის მოთხოვნა, მაგრამ თავდაცვა არ არის მართლზომიერი სამართლებრივ სიკეთეთა აშკარა შეუსაბამობის დროს. არ შეიძლება ადამიანს სიცოცხლე მოუსპო ან მძიმე დაზიანება მიაყენო იმ შემთხვევაში, როცა აშკარად შესაძლებელია თავდაცვის განხორციელება შედარებით უფრო ნაკლები ზიანის მიყენების გზით. ამასთანავე, უნდა დადგინდეს მომგერიებლის სუბიექტური დამოკიდებულება, კერძოდ, მოგერიება უნდა იყოს სამართლებრივი სიკეთის დაცვის სურვილით განხორციელებული. „... [...] მოცემულ შემთხვევაში სწორი სამართლებრივი შეფასებისთვის მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად ზუსტად დადგინდეს შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებები და ამ გარემოებების ანალიზის საფუძველზე გაირკვეს, თუ რით იყო გამოწვეული და რისკენ იყო მიმართული პირის ქმედება: ანუ დ. ც. მოქმედებდა სხვისი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების განზრახვით საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის არარსებობის პირობებში, თუ საკუთარი წარმოდგენით მოქმედებდა მართლზომიერად, იცავდა თავს და მისთვის არსებითი არ იყო მიყენებული დაზიანების ხარისხი და მთავარი იყო აღნიშნულით უზრუნველყო საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა.

აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლომ შეათვასა ერთი მხრივ დ.ც.-ს ქმედებაში გამოვლენილი სუბიექტური მხარე, მეორე მხრივ კი თავდაცვისათვის გამოყენებული ზომების შესაბამისობა თავდასხმის საშიშროებასთან და დაადგინა, რომ დ.ც.-ს ქმედება სუბიექტურად აუცილებელი მოგერიების სურვილით იყო განპირობებული, თუმცა თავდაცვის ზომა აშკარა შეუსაბამობაში იმყოფებოდა თავდასხმის ხასიათთან. შესაბამისად, დ.ც.-ს ქმედება დაკვალიფიცირდა, როგორც ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 122-ე მუხლით.

წარმოდგენილი სასამართლო განაჩენების ანალიზი აჩვენებს, რომ ქართული სასამართლო პრაქტიკა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის დასადასტურებლად თავდასხმის ხასიათთან

თავდაცვის ზომების შესაბამისობის, ქმედების გამოწვევ მიზეზებისა და ქმედების განზრახვის სისტემურად შეფასების კრიტერიუმს იყენებს. ანალოგიურ კრიტერიუმის გამოყენების ვალდებულება სასამართლოს მოცემული საქმის განხილვის შემთხვევაშიც ეკისრება და მნიშვნელოვანია, რომ აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის არსებობის დასადგენად ან აღნიშნული მდგომარეობის არსებობის მიუხედავად კანონით დადგენილი ფარგლებს გადაცილების შესაფასებლად, ყურადღება გამახვილდეს ერთი მხრივ ბრალდებულის მხრიდან თავდაცვისათვის გამოყენებული ზომების თავდასხმის ხასიათთან შესაბამისობაზე და მეორე მხრივ დადგინეს ბრალდებულის განზრახვა იყო თუ არა თავდაცვისკენ მიმართული.

5. ქმედების სუბიექტური მხარის (მოტივის, მიზნის) მნიშვნელობა განსახილველ საქმეზე

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს დანაშაული, რომელიც თავის მხრივ ობიექტური და სუბიექტური ელემენტებისგან შედგება.¹⁴ ზოგადად დანაშაულებრივი ქმედება სუბიექტური მხრივ შეიძლება ჩადენილ იქნეს განზრახი ან გაუფრთხილებელი დანაშაული ფორმით. თუმცა, იურიდიული ლიტერატურაში აღიარებულია, რომ ქმედების სუბიექტური შემადგენლობა სხვა სუბიექტურ ნიშნებსაც შეიძლება მოიცავდეს. მათ შორის, სპეციალურს მიზანს და უმართლობის დამაფუძნებელ სხვა მოტივებს.¹⁵ ქმედებაში გამოვლენილი მოტივისა და მიზნის შეფასება რამოდენიმე ასპექტზე ახდენს გავლენას. კერძოდ, „დანაშაულებრივ ქმედების გამოიჭენა არადანაშაულებრივისგან, დანაშაულების ერთმანეთისგან გამოიჭენა, დანაშაულის კვალიფიციური შემადგენლობის შექმნა, სასჯელის დამძიმება ან შემსუბუქება“¹⁶ შეიძლება მოვიზაროთ მოტივისა და მიზნის ფუნქციებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მოტივისა და მიზნის განსაზღვრამ შესაძლოა დანაშაულებრივი ქმედების არადანაშაულებრივისგან გამოიჭენას ან პირიქით, ერთი შეხედვით მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ქცევა უმართლობად აქციოს. აღნიშნული განსაზღვრება დიდ მნიშვნელობას იძენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის შესაფასებლად, რამდენადაც „მართლწინააღმდეგო ხელყოფის თავიდან აცილება ვერ ჩაითვლება აუცილებელმოგერიებად, თუ სხვა პირობებთან ერთად არ არსებობს მომგერიებლის თავდაცვის მიზანი“¹⁷.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების დასადგენად მნიშვნელობა სწორედ მოტივისა და მიზნის გამოკვეთას აქვს, რამდენადაც „აუცილებელი მოგერიების ფარგლებისა და დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილების სწორად განსაზღვრისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფარგლების ან ზომის გადამცილებლის მოტივის დადგენა, რამეთუ შესაძლებელია, მოტივზე დაკვირვებით იგი სრულიად გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ბრალის არარსებობის გამო“¹⁸, ხოლო სხვა შემთხვევაში მოტივის გამოკვეთამ დაარწმუნოს მოსამართლე, რომ პირის ქმედება არ იყო გამონვეული მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების ცოდნით და თავდაცვის

¹⁴ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის 1-ლი ნაწილი

¹⁵ მ. ტურავა, „სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, 2010, გვ. 125

¹⁶ ი.დვალაძე „მოტივი და მიზანი ქართული სისხლის სამართლის დოქტრინაში“. 2007 წ. ხელმისაწვდომია <http://www.library.court.ge/upload/motivi%20da%20mizani%20sisxlis%20samartalshi.pdf>

¹⁷ ი.დვალაძე „მოტივი და მიზანი ქართული სისხლის სამართლის დოქტრინაში“. 2007 წ. ხელმისაწვდომია <http://www.library.court.ge/upload/motivi%20da%20mizani%20sisxlis%20samartalshi.pdf>

¹⁸ ი.დვალაძე „მოტივი და მიზანი ქართული სისხლის სამართლის დოქტრინაში“. 2007 წ. ხელმისაწვდომია <http://www.library.court.ge/upload/motivi%20da%20mizani%20sisxlis%20samartalshi.pdf>

ნებელობით, ან ამგვარი მდგომარეობის არსებობის მიუხედავად, მისი ქმედება მოგვიანებით შურისძიების აქტად იქცა.

მოტივისა და მიზნის არსებობაზე რამდენიმე გარემოება შეიძლება უთითებდეს. ეს შეიძლება იყოს უშუალოდ ქმედებაში გამოვლენილი ძალადობის ხასიათისა და ხარისხის შეფასება, სავარაუდო დამნაშავეის წარსული გამოცდილება, კონფლიქტში მონაწილე პირებს შორის ინციდენტამდე არსებული ურთიერთობა, ინციდენტის დროს გამოვლენილი სიძულვილის ენა. განსაკუთრებული ყურადღება შეიძლება გამახვილდეს ბრალდებულის პრედანაშაულებრივ ქცევაზე, რომელიც თავის მხრივ შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე დამოუკიდებელ აქტს, მაგალითად წინასწარ დანაშაულის ჩასადენად გამოსადეგი იარაღის შეძენას, დანაშაულის ჩადენისათვის სხვა საჭიროებების ორგანიზებას, დანაშაულებრივ ქცევამდე დაზარალებულის მიმართ გაკეთებულ განცხადებებს, რომელთა შინაარსი შესაძლოა მუქარასთან იყოს დაკავშირებული. გასათვთვალისწინებელია, რომ დამნაშავეის მხრიდან განხორციელებული თითოეული აქტს დამოუკიდებელი სამართლებრივი მნიშვნელობა შეიძლება არ გააჩნდეს, მაგრამ სისტემურად დანახვისა და შეფასების პირობებში, ავლენდეს დამნაშავეის რეალურ მოტივაციას და გამორიცხავდეს აუცილებელ მოგერიების მდგომარეობას.

მოტივისა და მიზნის გამოკვეთა კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს მაშინ როდესაც დაზარალებული საზოგადოებისგან მარგინალიზებული ჯგუფის წევრია. ამ შემთხვევაში დეტალურად უნდა შეფასდეს მსხვერპლსა და სავარაუდო დამნაშავეს შორის ინციდენტამდე და ინციდენტის პროცესში ურთიერთობის დინამიკა და გამოკვეთოს ყველა ის გარემოება რაც შეიძლება უთითებდეს სავარაუდო დამნაშავეის მიერ მსხვერპლის იდეურ მიუღებლობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ ბრალდებულის ქმედებში გამოვლენილი მოტივისა და მიზნის შესწავლას აქვს. ერთი მხრივ, დადგენილმა მოტივმა და მიზანმა შესაძლოა ქმედების კვალიფიკაციაზე მოახდინოს გავლენა, მეორე მხრივ კი ის შეიძლება სასჯელის დამამძიმებელ გარემოებად იქნეს განხილული. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად „დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ზმზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის“.

6. საერთაშორისო სტანდარტი შეუწყნარებლობის მოტივის გამოვლენის შესახებ

აღამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას პატივი სცეს და მის იურსიდიქციაში მყოფი ყველა პირი უზრუნველყოს აღიარებული უფლებებით, რაიმე განსხვავების გარეშე.¹⁹ მათ შორის, უზრუნველყოს შესაბამისი საკანონმდებლო ზომების მიღება, რომლებიც შესაძლოა საჭირო გახდეს აღამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტებით აღიარებული უფლებების

¹⁹ საერთაშორისო პატივი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 2.1

განსახორციელებლად.²⁰ სახელმწიფოებს ევალებათ არამხოლოდ ფორმალური თანასწორობის მიღწევა, არამედ აღიარონ უმცირესობათა ჯგუფების სტრუქტურული უთანასწორობა და მათი დისკრიმინაცია.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და ინციდენტების აღკვეთა მეტწილად დამოკიდებულია შესაბამის ეროვნულ რეგულაციებზე, ადეკვატურ ღონისძიებებსა და პროცედურებზე²¹. დისკრიმინაციული მოტივის დაგმობით, მისი კანონმდებლობაში ასახვითა და პრაქტიკული ზომების მიღებით, სახელმწიფო პროაქტიულად ახდენს დანაშაულის აღკვეთას, რაც ასევე აიოლებს სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას, მისი შემდგომი დამუშავების მიზნით და ჯგუფის ხილვადობასაც უზრუნველყოფს²².

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარის 2015 წლის ანგარიშში მითითებულია, რომ სახელმწიფოს აქვს ვალდებულება უზრუნველყოს ჯეროვანი გულისხმიერების სტანდარტი ლგბტ ჯგუფის მიმართ განხორციელებული მკვლელობებისა და ძალადობის სხვა ფორმების წინააღმდეგ. გაეროს მექანიზმები მოუწოდებს სახელმწიფოებს, რომ შეასრულონ აღნიშნული ვალდებულება შესაბამისი საკანონმდებლო და სხვა ზომების მიღებით, რათა აღმოფხვრან, გამოიძიონ და მიიღონ შესაბამისი სადამსჯელო ღონისძიებები სიძულვილით მოტივირებულ იმ დანაშაულებსა და დანაშაულისაკენ მოწოდების შემთხვევებზე, რომლებიც მიმართულია ლგბტ ადამიანების წინააღმდეგ და უზრუნველყონ მსხვერპლთა დაცვა და დახმარება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.²³

ევროსაბჭოს რეკომენდაციის მიხედვით, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მსხვერპლის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის შემთხვევებისა და სხვა ინციდენტების დროს ეფექტური, სწრაფი და მიუკერძოებელი გამოძიება.²⁴ „ნებისმიერი ჰომოფობიური ან ტრანსფობიური მოტივი აუცილებლად უნდა იქნას იდენტიფიცირებული და შესაბამისად აღრიცხული სამართალდამცავი ორგანოების მიერ, რომელიც უნდა დაეფუძნოს ეფექტურ, ყოვლისმომცველ და მიუკერძოებელ გამოძიებას და გათვალისწინებული იქნას ბრალის წარდგენისას.“²⁵

ამგვარ მიდგომას ავითარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალიც. ევროსასამართლომ მის არაერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მიერ საქმის გამოძიების ან სასჯელის დაკისრებისას დისკრიმინაციული მოტივის ყურადღების მიღმა დატოვება შეიძლება წარმოადგენდეს არაპირდაპირ დისკრიმინაციას. საქმეში **Angelova and Iliev v. Bulgaria** სასამართლომ მიუთითა, რომ „სახელმწიფოს აქვს ზოგადი ვალდებულება, კონვენციის მე-2 მუხლის ფარგლებში, განახორციელოს ეფექტიანი გამოძიება სიცოცხლის უფლების დარღვევის საქმეებში, რომელიც უნდა წარიმართოს დისკრიმინაციის გარეშე, როგორც ამას მოითხოვს კონვენციის მე-14 მუხლი. ამასთანავე, ძალადობრივი ინციდენტის გამოძიებისას ხელისუფლებას აქვს დამატებითი ვალდებულება, მიიღოს ყველა გონივრული ნაბიჯი, რათა გამოააშკაროს ნებისმიერი [რასისტული] მოტივი და დაადგინოს, თუ რამდენად იყო

²⁰ იქვე, მუხლი 2.2

²¹ Combating discrimination on grounds of sexual orientation or gender identity, Council of Europe standards, 2011, გვ. 21, http://www.coe.int/t/dghl/standardsetting/hrpolicy/Publications/LGBT_EN.pdf

²² იქვე, გვ.22

²³ A/HRC/29/23, 4 May 2015, პარა. 11

²⁴ იქვე, I.A.1

²⁵ AMNESTY INTERNATIONAL PUBLIC STATEMENT, 16 May 2013, Italy: the new government must be vocal in addressing double standards on hate motivated violence, გვ. 3-4

შესაძლებელი, [ეთნიკურ] სიძულვილს ან ცრურწმენას ეთამაშა როლი აღნიშნულ მოვლენებში. [...] სახელმწიფოს მიერ რასობრივი მოტივით გამოწვეული ძალადობისა და სისასტიკისადმი იმგვარი მოპყრობა, როგორც მოეპყრობოდა [რასისტული] ელფერის არმქონე დანაშაულს, წარმოადგენს ფუნდამენტურ უფლებათა განსაკუთრებით დამანგრეველი ქმედებების სპეციფიკურ ბუნებაზე თვალის დახუჭვას. ისეთი სიტუაციები, რომლებიც არიან არსებითად განსხვავებულები, ხოლო სახელმწიფო განიცდის მარცხს მათ განსხვავებაში, შესაძლოა შეიცავდეს კონვენციის მე-14 მუხლთან შეუთავსებელ დაუსაბუთებელ მოპყრობას²⁶.

ამასთან, საქმეში *Identoba and Others V. Georgia*, ევროსასამართლომ მიუთითა, რომ ხელისუფლების ვალდებულება, თავიდან აიცილოს კერძო პირების მიერ სიძულვილით მოტივირებული ძალადობა (ისევე, როგორც გამოიძიოს დისკრიმინაციულ მოტივსა და ძალადობის აქტს შორის შესაძლო კავშირი), შეიძლება მოექცეს კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურულ ასპექტში, მაგრამ ასევე შეიძლება, მიჩნეული იყოს მე-14 მუხლით გათვალისწინებულ ხელისუფლების პოზიტიურ ვალდებულებად – დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოს მე-3 მუხლით დაკული ფუნდამენტური უფლება²⁷. სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს „ეროვნული სისხლის სამართლებრივი კანონმდებლობა პირდაპირ მიუთითებს, რომ დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით უნდა წარმოადგენდეს დამამძიმებელ გარემოებას დანაშაულისათვის. სასამართლო ასკვნის, რომ არსებითად მნიშვნელოვანი იყო გამოძიების წარმოება სწორედ ამ სპეციფიკურ კონტექსტში, რათა სახელმწიფოს მიეღო ყველა გონივრული ზომა იმ მიზნით, რომ გამოეაშკარაებინა სავარაუდო ჰომოფობიური მოტივების როლი აღნიშნულ ინციდენტებში“²⁸.

გარდა აღნიშნულისა, ევროსასამართლომ მის ერთ–ერთ უახლეს გადაწყვეტილებაში *M.C. and A.C. v. Romania*, რომელიც 2007 წელს ბუქარესტში გვი-პრაიდისას განხორციელებულ ძალადობას ეხებოდა, სასამართლომ სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების განხილვისას აღნიშნა, რომ „იმისათვის, რომ გამოძიება „ეფექტურად“ მიიჩნეოდეს, პრინციპულად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს შეეძლოს ფაქტების სრული სიზუსტით დადგენა და დამნაშავე პირთა იდენტიფიკაცია და დასჯა. აღნიშნული წარმოადგენს არა ვალდებულებას მისაღწევი შედეგის მიმართ, არამედ იმ საშუალებების, რომელიც უნდა იქნას გამოყენებული. სახელმწიფოს უნდა მიეღო ყველა გონივრული ზომა, რათა მოეპოვებინა და დაეცვა ყველა რელიგვიანტური მტკიცებულება. გამოძიებისას არსებული დეფიციტი, რომელმაც შეზღუდა ზიანის მიზღვებისა და პასუხისმგებელ პირთა იდენტიფიცირების შესაძლებლობა წარმოადგენს აღნიშნული სტანდარტიდან გადახვევასა და დროულობისა და გონივრულობის პრინციპის დარღვევას.“²⁹ სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ დისკრიმინაციული მოტივის გამოსაკვეთათ, სახელმწიფოს უნდა მიეღო ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული ყველა საშუალება, რათა აღნიშნული ქმედება არ იქნას განხილული იმ დანაშაულების მსგავსად, რომელსაც ამგვარი მოტივი არ აქვს.³⁰

ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპები მიუთითებს, რომ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან გამკლავება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის აქტორებს –

²⁶ *Angelova and Iliev v. Bulgaria*, No. 55523/00, judgment of 26 July 2007, para.115. ასევე, *Nachova and other V. Bulgaria*, No. 43577/98, judgment of 6 July 2005, para. 160

²⁷ ECHR, *CASE OF IDENTOBA AND OTHERS v. GEORGIA* (Application no. 73235/12), 12 მაისი 2015, პარა. 63

²⁸ იქვე, პარა. 77

²⁹ *CASE OF M.C. AND A.C. v. ROMANIA*, 12 April 2016, პარა. 111

³⁰ იქვე, პარა. 114

პოლიციას, პროკურატურასა და სასამართლოს შორის ახლო კოოპერაციულ მუშაობას მოითხოვს, თუმცა არა მხოლოდ ოპერაციულ, არამედ პოლიტიკის დონეზეც. ამასთან, დანაშაულის უნიფიცირებული დეფინიციის არსებობა მხოლოდ ხელს შეუწყობს აღნიშნული თანამშრომლობის წარმატებულობას.³¹

2012 წლამდე სისხლის სამართლის კოდექსში დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულები მხოლოდ რასობრივ, ეროვნულ, ეთნიკურ და ენობრივ ნიშნებს მოიცავდა, საიდანაც ავტომატურად გამოირიცხებოდა დანაშაულები სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის გამო. აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრისა და დაცულ საფუძველთა სრულყოფის მიზნით, 2012 წლის 27 მარტიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 53.3¹ მუხლი, რომელმაც სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის სიძულვილის მოტივი კოდექსში მითითებული ყველა დანაშაულისათვის დამამძიმებელ გარემოებად განსაზღვრა. ნორმის მიღება განაპირობა რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) საქართველოს მიმართ 2010 წლის ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაციამ, რომელშიც ევროპულმა კომისიამ კიდევ ერთხელ მოუწოდა საქართველოს მთავრობას, განესაზღვრა რასობრივი მოტივი სისხლის სამართლის ყველა დანაშაულისათვის დამამძიმებელ გარემოებად³².

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ნორმის ასახვა მოხდა ეროვნულ კანონმდებლობაში, საქართველოს შესახებ 2016 წლის ანგარიშში ECRI კრიტიკულად აფასებს ხელისუფლების მიერ სისხლის სამართლის კოდექსის ეფექტურ იმპლემენტაციას, რაც უმთავრესად განპირობებულია დანაშაულთან არასათანადო გამოძიებითა და შეუწყნარებლობის მოტივის მიუთეთებლობით. კომისია აღნიშნავს, რომ საჭიროა მონიტორინგი გაეწიოს გამოძიების პროცესს მოტივის გამოსავლენად და ამავე დროს, ფოკუსირებს მოტივის განხილვის საჭიროებაზე სასამართლო პროცესის დროს.³³

ამდენად, კონკრეტულ საქმეზე, ბრალდებულის ქმედებაში გამოვლენილი მოტივაციის შესწავლასა და შეფასებას არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს.

7. საქმეში შესაძლო ტრანსფობიური მოტივის გამოკვეთის მნიშვნელობა

ზემოხსენებულ საქმეში გარდაცვლილი საბი ბერიანი (დაბადების მონუმობაში - ბექა ბერიანი) ტრანსგენდერ ქალს წარმოადგენს. საქმის სწორად გადანყვეტაში მის იდენტობას არსებითი მნიშვნელობა შესაძლოა ჰქონდეს, რადგანაც ხშირად სწორედ ტრანსფობიური მოტივი შეიძლება გახდეს დანაშაულის ჩადენის გაზრახვის არსებობაზე მიმანიშნებელი ფაქტორი.

სიტყვა „ტრანსგენდერი“ ქოლგა ტერმინს წარმოადგენს იმ ადამიანების აღსანიშნად, რომელთა დაბადებისას მინიჭებული ბიოლოგიური სქესი არ შეესაბამება მათ გენდერულ თვითაღქმას. შესაბამისად, ტრანსგენდერ ადამიანთა ქოლგაში ერთიანდებიან ტრანსგენდერი, ტრანსსექსუალი, გენდერულად არაბინარული, აგენდერი და სხვა იდენტობის მქონე ადამიანები.

³¹ OSCE Prosecuting hate crimes. A practical guide, გვ. 17-18, იხ: <http://www.osce.org/odihr/prosecutorsguide?download=true>

³² ECRI Report on Georgia, CRI (2010)17, fourth monitoring cycle, Adopted on 28 April, პარა. 11, იხ: <http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/country-by-country/georgia/GEO-CbC-IV-2010-017-ENG.pdf>

³³ ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მოხსენება საქართველოს შესახებ (მონიტორინგის მესამე ციკლი) მიღებულია 2015 წლის 8 დეკემბერს გამოქვეყნდა 2016 წლის 1 მარტს. გვ. 27. იხ. <https://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Country-by-country/Georgia/GEO-CbC-V-2016-002-GEO.pdf>

დღევანდელ საზოგადოებებში, სადაც სქესი და გენდერი ერთმანეთის სინონიმებად გამოიყენება, საზოგადოების მიერ ხელოვნურად დადგენილი გენდერული როლები ადამიანთა სოციალურ სტატუსსა და კეთილდღეობაზე ახდენს გავლენას. ის ადამიანები, რომლებიც არ შეესაბამებიან აღნიშნულ სოციალურად დადგენილ ნორმებს დისკრიმინაციისა და ძალადობის მსხვერპლები ხდებიან საზოგადოების მხრიდან. ტრანსფობია, რომელიც გულისხმობს ირაციონალურ შიშს ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ და მსგავსია, სექსიზმის, რასიზმის, ანტისემიტიზმის და ჰომოფობიისა, სათავეს სქესის რადიკალური ოპოზიციურობიდან იღებს, რომელიც ეფუძნება რწმენას, რომ ქალი და კაცი მყარი, ურთიერთგამომრიცხავი კატეგორიებია, თითოეული მათგანი ფლობს უნიკალურდ ერთმანეთის არგადამთავრავ ატრიბუტებს, შესაძლებლობებს და სურვილებს. საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც აღნიშნულ რწმენებს ფლობს, სჯის და რიყავს მათ ვინც არ შეესაბამება გენდერისა და სექსუალობის ნორმებს, რადგანაც ისინი წარმოჩენილნი არიან ერთგვარ საფრთხედ კაცისა და ქალის განსახვავებულობის იდეის მიმართ. ეს ასევე ხსნის იმას, თუ რატომ არიან განხილულნი ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსსექსუალი და ის ტრანსგენდერი ადამიანები (რომლებიც შესაძლოა არსებითად განსხვავებულად აღიქვამენ საკუთარ გენდერსა და სექსუალობას) ერთ მთლიან კატეგორიაში საზოგადოების მიერ.³⁴

მსოფლიოში ყოველწლიურად ტრანსფობიურ დანაშაულს ათეულობით ადამიანის სიცოცხლე ეწირება, მხოლოდ 2016 წელს გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილ მკვლელობათა რიცხვი 90–ს აღწევს.³⁵

საქართველოში ტრანსგენდერ ადამიანთა წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები ხილვადი 2014 წლიდან გახდა, თუმცა მსგავს დანაშაულებთან დაკავშირებით სახელმწიფოს პოლიტიკა ეფექტიანი არ არის, რაც კიდევ უფრო აძლიერებს დაუსჯელობის სინდრომს და აღრმავეს შეუწყნარებლობას აღნიშნული ჯგუფის მიმართ.

სხვადასხვა კვლევები³⁶ აჩვენებს, რომ ტრანსგენდერ ადამიანთა უმრავლესობა საქართველოში სისტემატურად არის ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი³⁷, რომლის წყაროს წარმოადგენენ როგორც უცხო ადამიანები, ისე ტრანსგენდერი ადამიანების ოჯახის წევრები და მეგობრები. ძალადობა განსაკუთრებით მწვავე ფორმას იძენს იმ შემთხვევაში, როდესაც ტრანსგენდერი ადამიანები საზოგადოებაში იმ გარეგნობით თუ სოციალური როლით ჩნდებიან, რომელიც მათ ბიოლოგიურ სქესს არ შეესაბამება.³⁸ 2014 წელს ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობის შესახებ კვლევამ გამოავლინა, რომ რესპოდენტებიდან 9 (სულ 14) პირს ცხოვრებაში ერთხელ მაინც განუცდია ფიზიკური ძალადობა მისი გენდერული იდენტობის გამო.³⁹ ხოლო, 2015 წელს განხორციელებულმა ანგარიშმა აჩვენა, რომ გამოკითხულთა 20%-ს ჰქონია ფიზიკური, ხოლო 68%-ს ფსიქოლოგიური ძალადობის გამოცდილება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ წინა წლებთან შედარებით ძალადობის გამოცდილების მცირე კლების მიუხედავად, გაზრდილია იმ

³⁴ იქვე

³⁵ იხ: <https://tdor.info/>

³⁶ „ტრანსგენდერ ადამიანთა საჭიროებები ჯანდაცვის სფეროში“, WISG, 2015; „ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“, EMC, 2016; „დისკრიმინაცია და სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ლგბტ პირთა მიმართ“, WISG, 2015

³⁷ ე. აღდგომელაშვილი, „წინასწარგანწყობიდან თანასწორობამდე“, WISG, , 2016, გვ.19.

³⁸ იქვე

³⁹ ნ. გვიანიშვილი „ტრანსგენდერი ადამიანების მდგომარეობა საქართველოში“, WISG, 2014

ადამიანთა რაოდენობა, რომელთაც ამგვარი მოპყრობა 3–ჯერ ან მეტჯერ განიცადეს.⁴⁰ ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის (WISG) მონაცემებით, საქართველოში 2016 წლის განმავლობაში ტრანსგენდერ და გენდერულად არაკონფორმულ ადამიანებზე ფიზიკური თავდასხმის ოცამდე შემთხვევა იქნა დოკუმენტირებული.⁴¹

იმისათვის, რომ კონკრეტული ჯგუფის მიმართ (მათ შორის, ტრანსგენდერი თემის მიმართ) სიძულვილის საფუძველზე განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას სწორი სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაცია მიენიჭოს, სიტყვა „სიძულვილი“ არ უნდა იქნას პირდაპირი მნიშვნელობით გაგებული, უფრო მეტიც, მისი გამოყენება შესაძლოა შეცდომაში შემყვანი იყოს მართლმსაჯულების სისტემისათვის, რადგანაც ის შესაძლოა განიმარტოს იმგვარად, რომ დაცვის ქვეშ მყოფ ადამიანს აუცილებლად უნდა სძულდეს მსხვერპლი ან ის ჯგუფი, რომელსაც მსხვერპლი მიეკუთვნება, რათა დანაშაული სიძულვილით მოტივირებულად მიიჩნეოდეს. თუმცა, ეს არ არის სწორი განმარტება. ის ფაქტორი, რომელსაც ჩვეულებრივ დანაშაულებრივ ქმედებას სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულად აქცევს არის დამნაშავის მიერ მსხვერპლის შერჩევა წინასწარგანწყობისა და შეუწყნარებლობის გამო, რომელიც იმ ჯგუფის მიმართ არსებობს რომელსაც მსხვერპლი მიეკუთვნება. ცხადია, ეს არ გამოირიცხავს „სიძულვილს“, როგორც ძლიერი ნეგატიური ემოციის ფლობას, თუმცა აღნიშნულის მტკიცება არსებითად რთულია და შესაბამისად, მას ვერ ექნება მკაცრად სამართლებრივი დატვირთვა.⁴²

შესაბამისად, ამგვარი დანაშაულის შინაარსში „სიძულვილი“ კონცეპტუალიზებული უნდა იქნეს, როგორც „წინასწარგანწყობა“⁴³ და შესაბამისად, მართლმსაჯულების სისტემის მიერ უნდა განიმარტოს, რათა არ მოხდეს მისი დავიწროება „სიძულვილის“ კლასიკურ ცნებამდე, როგორც ძლიერი ემოციური გრძნობის გამოვლინებაზე.

ამასთან, პირის პერსონალური დამოკიდებულება – წინასწარგანწყობა, შეუწყნარებლობა თუ სიძულვილი თავის მხრივ, ან ნიშნავს, რომ დანაშაული მხოლოდ აღნიშნული მოტივის საფუძველზე იქნა ჩადენილი, მნიშვნელოვანია ნორმის გამოყენებაში არის ის, რომ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება **მთლიანად ან ნაწილობრივ** უნდა იყოს მოტივირებული პიროვნების სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის საფუძველზე შეუწყნარებლობის მოტივით. ამგვარი მოტივის შეცნობა შესაძლებელია მაშინ თუ **დანაშაულის ჩადენამდე, ჩადენის პროცესში და მის შემდეგ შესაძლო დამნაშავის** ნება გაცხადებული იქნება გარე სამყაროში რაღაც ფორმით და ის ობიექტურად შეცნობადი გახდება სხვებისათვის, როგორც დაზარალებულისთვის, ისე გარშემომყოფებისათვის.

წინამდებარე საქმეში, საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, ტრანსფობიურ მოტივზე მიმათითებელი რამდენიმე ფაქტორი შეიძლება გამოიყოს, კერძოდ:

პირველი, მსხვერპლისა და შესაძლო დამნაშავის განსახვავებული იდენტობა – ბექა (საბი) ბერიანი ტრანსგენდერი ადამიანია, ხოლო ლ.კ. სისგენდერ კაცს წარმოადგენს (დაბადებისას მისთვის მინიჭებული ბიოლოგიური სქესი შესაბამისობაშია მის გენდერულ თვითაღქმასთან), შესაბამისად,

⁴⁰ ე. აღდგომელაშვილი „ღვბ ჯგუფის საჭიროებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში“, ტექნიკური ანგარიში, WISG, თბილისი, 2015

⁴¹ იხ: <http://netgazeti.ge/news/149865/>

⁴² OSCE/ODHIR, Prosecuting Hate Crimes. A Practical guide, Warsaw, 2014, გვ.20

⁴³ Jacobs and Potter 1998; Lawrence 1999 (როგორც ციტირებულია, Chakraborti N., Garland J. "Hate Crime: Impact, Causes and Responses", Second Edition, Sage Publication, 2015)

მათი იდენტობები განსხვავდება, რაც პირველი და საკმარისი ნიშანია, დანაშაულის ტრანსფორმირებული მოტივზე ეჭვის წარმოსაშობად.

მეორე, დანაშაულის სასტიკი ბუნება – დანაშაულის დისკრიმინაციულ, შეუწყნარებლობის მოტივზე მიმანიშნებელი ასევე არის დანაშაულის სისასტიკე. განხორციელებულ ქმედებაში ნათელია, რომ გარდაცვლილმა საბი (ბეჟა) ბერიანმა სხეულის მრავლობითი დაზიანება და ერთი კრიტიკული მნიშვნელობის ჭრილობა მიიღო, რამაც მისი სიკვდილი გამოიწვია. საბოლოოდ, ლ.კ.-მ მის საცხოვრებელ ბინას ცეცხლი წაუკიდა, რაც კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ შესაძლოა ქმედება ერთის მხრივ, დანაშაულებრივი ქმედების დაფარვის მიზნით ან/და მეორეს მხრივ, ტრანსგენდერი ქალის მიმართ სისასტიკის გამოვლინებით განხორციელდა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) სახელმძღვანელო დოკუმენტის მიხედვით, ძალადობრივ დანაშაულებში, როდესაც სხვა უფრო აშკარა მოტივის იდენტიფიცირება პირველად ეტაპზე ვერ ხერხდება, და როდესაც მსხვერპლისა და სავარაუდო დამნაშავეს განსხვავებული იდენტობა აქვთ, დანაშაულის სიმძიმე და მისი სისასტიკე, წარმოადგენს ძლიერ ინდიკატორს, იმის მისანიშნებლად, რომ დანაშაული შეუწყნარებლობის მოტივით იქნა ჩადენილი. იმ ადამიანთა დეჰუმანიზებისა და ღირსების შელახვის მიზნით, რომელთა წინააღმდეგაც სავარაუდო დამნაშავე ფლობს ნეგატიურ წინაწარგანწყობებს, დანაშაულის სწორედ ექსტრემალურ და არსებითად სასტიკ ფორმას შესაძლოა ჰქონდეს ადგილი.⁴⁴ აღნიშნულ კონტექსტში, სისასტიკის გამოვლინება ტრანსგენდერი პირის მიმართ, შესაძლოა ნიშნავდეს მისი, როგორც არასრულფასოვნ, დაქვემდებარებულ სუბიექტად აღქმას, რომლის სიცოცხლე და ჯანმრთელობა სამართლით დაცულ სიკეთედ არ აღიქმება, შესაბამისად, შესაძლებელია, რომ ლ.კ.–ს მსგავს ფაქტობრივ მოცემულობაში სხვა სუბიექტის მიმართ იგივე სისასტიკე ან/და მართლწესრიგის ამ მასშტაბით დარღვევა არც გამოეჩინა.

მესამე, შესაძლო დამნაშავისა და მსხვერპლს შორის დანაშაულამდე არსებული ურთიერთობა/ნაცნობობა, რომელიც არ გამოირიცხავს, დანაშაულის დისკრიმინაციული მოტივით ჩადენას. მოტივი და წინასწარგანწყობა კომპლექსური ფენომენია და ცხადია, ზედაპირულ დონეზე არსებული ურთიერთობა არ გულისხმობს პირის იდენტობის მიმართ მიმღებლობისა და შემწყნარებლობის ავტომატურ არსებობას.⁴⁵ ამასთან, საქმეში არსებული სხვა მოტივის არსებობა, თუნდაც ანგარება, არ არის საკმარისი საფუძველი სხვა მოტივის არსებობაზე ეჭვის გასაქარწყლებლად, სწორედ აღნიშნულს უთითებს OSCE/ODIHR-ის სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომელთა მიხედვით, შერეული მოტივების (ორი ან ორზე მეტი მოტივის) არსებობა საქმეში, არ გამოირიცხავს საქმეში ჰომოფობიური ან/და ტრანსფობიური მოტივის არსებობას.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ პირველმა და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა საბი (ბეჟა) ბერიანის მკვლელობის ნაწილში ლ.კ. გაამართლა და შესაბამისად, ვერ იმსჯელა მოტივის არსებობაზე და სსკ-ის 53.3¹ მუხლის ფარგლებში სასჯელის დამძიმებაზე, მნიშვნელოვანია უზენაესმა სასამართლომ შესაძლო მოტივის არსებობაზე იმსჯელოს არამართო სასჯელის დამძიმების მიზნებისთვის, არამედ პირის განზრახვის ელემენტის უკეთ გამოკვეთის მიზნებისთვისაც, რადგანაც ქმედების დანაშაულად სწორად კვალიფიკაცია და სასჯელის მიზნების განხორციელება ჩადენილი ქმედების მიზეზების ანუ ფსიქოლოგიური ახსნის გარეშე შეუძლებელი ამოცანაა.

⁴⁴ OSCE/ODIHR, Prosecuting Hate crimes: A Practical Guide, გვ. 48

⁴⁵ OSCE/ODIHR, Prosecuting Hate Crimes: A Practical Guide, გვ. 69

8. დასკვნა

გამომდინარე იქიდან, რომ სახელმწიფოს ვალდებულებაა სამართლიანი, ობიექტური და დასაბუთებული შეფასება მისცეს შესაძლო დამნაშავე პირის მიერ განხორციელებულ ქმედებას, გამოკვეთოს შესაძლო დისკრიმინაციული მოტივი და საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილება მიიღოს, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ გაიაზროს აღნიშნული საქმის მნიშვნელობა საზოგადოების, ლგბ და განსაკუთრებით, ტრანსგენდერი თემისა და დემოკრატიული ღირებულებების დაცვისთვის. სახელმწიფო ვალდებულია აღმოთხვრას დაუსჯელობის ატმოსფერო, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს ლგბტ პირთა მიმართ დისკრიმინაციული პრაქტიკებისა და ძალადობის შემცირებას ქვეყანაში, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მართლმსაჯულების პროცესის სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნება და მიიღოს ობიექტური გადაწყვეტილება, რათა გამოასწოროს აღნიშნული ძალადობრივი აქტების შედეგები, რითაც ის მოახდეს შინაგანი პრევენციული და შემაკავებელი ეფექტის გაძლიერებას ლგბ და ტრანსგენდერ პირთა წინააღმდეგ მომავალში მოსალოდნელ ძალადობრივ აქტებთან მიმართებაში, რათა სახელმწიფოში უზრუნველყოფილ იქნას ნებისმიერი პირის მიერ დისკრიმინაციის გარეშე საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემულ საქმეზე სწორი სამართლებრივი შეფასების მისაცემად მნიშვნელოვანია:

ქმედებაში გამოვლენილი მოტივისა და მიზნის შესაფასებლად დეტალურად გაანალიზდეს საქმის ფაქტობრივ გარემოებები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შესწავლილი იქნეს ბრალდებულსა და მსხვეპლს შორის არსებული ურთიერთობის ასპექტები და შემდგომი დინამიკა;

სასამართლომ ზუსტად განსაზღვროს აუცილებელი მოგვრიების დამაფუძნებელი გარემოებები და შეაფასოს ბრალდებულის ქმედებაში გამოვლენილი ძალადობის ხარისხი ან ხასიათი ხომ არ უთითებს სავარაუდო განზრახვი დანაშაულის არსებობაზე ან აუცილებელი მოგვრიების ფარგლებს გადაცილებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის პირველი ნაწილით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მოვმართოთ სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებით. აქვე გაცნობებთ, რომ გამოვთქვამთ მზადყოფნას საქმის არსებით განხილვაზე ზეპირი განმარტების მისაცემად.